საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №1210

თბილისი „01“ 10 2019 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის დადგენის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის 2019 წლის 27 სექტემბრის N1287283 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურედ დადგინდეს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი ნათია ლომთაძე - 2019 წლის 01 ოქტომბრიდან 2019 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით;

2. დაევალოს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის ფუნქციათა შემსრულებელს ნათია ლომთაძეს უზრუნველყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნების შესრულება 2019 წლის 01 ოქტომბრიდან 2019 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში;

3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება ოფიციალურ ვებგვერდზე;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ბატიაშვილი